

## საპატრიარქოს სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელების

### მორიგი შეხვედრა

14 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, იოანეს ლოცვა-კურთხევით, ქუთაისში, გელათის აკადემიისა და სემინარიის შენობაში შედგა საპატრიარქოს სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელების მორიგი შეხვედრა, შემდეგ საკითხებზე:

1. ავტორიზაციის მოთხოვნები, სტანდარტები, ადამიანური რესურსები – ჩვენი სკოლების ყოფილი პრაქტიკოსი, ე. წ. უსტატუსო პედაგოგების საკითხის განხილვა;

2. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მდგომარეობა საპატრიარქოს სკოლებში;

3. "განმავითარებელი შეფასება" – ოზურგეთის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ.სამრევლო სკოლის გამოცდილების გაზიარება;

4. სხვა მიმდინარე საკითხები და გამოწვევები.



შეხვედრა გახსნა და მონაწილეებს სიტყვით მიმართა მეუფე იოანემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ზოგადი განათლების მიმდინარე რეფორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას ჩვენი სასწავლებლები. მთავრობის დადგენილების საფუძველზე, პირველი სემესტრის ბოლოს

სკოლა უნდა დატოვოს პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს თავიანთი კომპეტენციის დადასტურება. მეუფე იოანემ მოიკითხა მიზეზები, თუ რატომ არ გავიდნენ ეს მასწავლებლები სასერთიფიკაციო გამოცდებზე და სთხოვა სკოლის ხელმძღვანელებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და მიეღოთ

ერთობლივი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. აზრი გამოთქვა საპ. განათლების ცენტრის კოორდინატორმა, სენაკის წმ. ალექსი შუშანიას სახ. მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა, ნინო ჯანჯღავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს პროცესი გარდაუვალია ყველა სკოლისათვის, რადგან განათლება რეგულირებადი სფეროა და მუდმივ განახლებას და განვითარებას მოითხოვს. ამიტომ გვინდა თუ არა, კანონს უნდა დავემორჩილოთ და ისე წარვმართოთ პროცესი, რომ დავეხმაროთ მასწავლებლებს და სკოლისათვის სასურველი და საჭირო კადრი შევინარჩუნოთ.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა საპ. განათლების ცენტრის კოორდინატორმა ნატალია კოპალეიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლების სისტემიდან გაყვანის გადავადება არ იყო სწორი, რადგან შუა სასწავლო წელს კონკურსის გამოცხადება არა ერთ პრობლემას შექმნის წლიურ შედეგებზე გასასვლელად, მითუმეტეს პანდემიის პირობებში, რადგან ახლად დანიშნულ მასწავლებლებს ნამდვილად გაუჭირდებათ სასწავლო შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება.



აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს და თავიანთ სკოლებში არსებული მდგომარეობა მიმოიხილეს ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლის სასწავლო პროცესის ხელმძღვანელმა პირიმზე რურუამ, ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახ. სკოლის დირექტორმა ირმა ჯიბუტმა, თბილისის წმ.

კეთილმსახური მეფე თამარის სახ. სკოლა-პანსიონის ხარისხის მართვის მენეჯერმა მარინე გოგოლაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგიური კადრის არსებობა.

საპატრიარქოს განათლების ცენტრის თანამშრომელმა, ბატონმა დავით ჭეიშვილმა მოუწოდა სკოლის დირექტორებს, მათ კანონის შესაბამისად დროულად გამოაცხადონ კონკურსი და მასწავლებლები მიიღონ სკოლის მოთხოვნების და პირობების გათვალისწინებით.

მეუფე იოანემ განაცხადა, რომ მზად არის ცენტრის სახელით მიმართოს სამინისტროს, რომ გამონაკლისის სახით, ჩვენი სკოლებისათვის ეს ღონისძიება ჩატარდეს მომავალი საწავლო წლიდან, რადგან ნებისმიერი დაგეგმვა უნდა ხდებოდეს აკადემიური კალენდრის გათვალისწინებით.

2. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის და ახალი სკოლის მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით უკვე სამი წელია მიმდინარეობს რეფორმა, რომელშიც ეტაპობრივად მოხდა სკოლების ჩართვა. წელს ჩვენი სკოლების უმრავლესობა ჩაერთო. სკოლის პედაგოგებს უტარებენ ტრენინგებს, ე. წ. ქოუჩინგს საგნების მიხედვით. ასევე სკოლის ხელმძღვანელებისათვის ლიდერობის მიმართულებით, რეგიონების მიხედვით შექმნილია 24 მხარდამჭერი ჯგუფი, რომ დაიგეგმოს ეფექტური და მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო პროექტები.

ამ საკითხზე ისაუბრა ბოლნისის წმ. იოანე ბოლნელის სახ. სკოლის დირექტორმა ნინო დევნოზაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უკვე მეორე წელია მუშაობენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით, ამჟამად ახორციელებენ ე.ს.გ. 8 მიმართულებიდან, 3 მიმართულების შესაბამის პროექტებს და უკვე აქვთ მნიშვნელოვანი წარმატებები.

სწავლა- სწავლების ახალ მიდგომებზე და თავიანთი სკოლების წარმატებებზე ისაუბრეს ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლის დირექტორმა, დეკანოზმა პავლე ცერცვაძემ და მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახ. მართლ. სკოლა- გიმნაზიის დირექტორმა, დეკანოზმა ბასილ ფილფანმა. ასევე ხულოსა და ხიჭაურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მენტორმა მასწავლებელმა ნინო შუშანიძემ.

შემდეგ საკითხზე, „განმავითარებელი შეფასება“ – თავისი სკოლის გამოცდილება გააცნო, ოზურგეთის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ.სამრევლო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა თეა ასიეშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უკვე მრავალი წელია იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც შემაჯამებელ, ასევე მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას. სწავლა-სწავლების პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს, აძლევს მითითებებს, რჩევებს, რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე, როცა მოსწავლე ხედავს, რომ მხარს უჭერენ, თანამშრომლობენ მასთან, ეზრდება შინაგანი მოტივაცია, უჩნდება ინტერესი უკეთ სწავლისა და საბოლოო ჯამში ეს სწავლის ხარისხზე და შედეგებზე აისახება.

საბოლოოდ მეუფე იოანემ შეაჯამა შეხვედრა და სთხოვა სკოლის დირექტორებს, საპატრიარქოს განათლების ცენტრს მიაწოდონ თავიანთი სკოლის წარმატებების ამსახველი დოკუმენტაცია.